ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 03.10 2022 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 5 4 3 - ს

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N 111/ნ ბრძანების „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 13 ივლისის სხდომის N 14 დამტკიცებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2022- 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებზე დანართი N1-ის შესაბამისად.

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათალებლო პროგრამაზე მიღების ადმინისტრირებისთვის ვადები განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დადგინდეს მასწვალებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირების მსურველ აპლიკანტთა მიერ რეგისტრაციისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

4. განისაზღვროს მასწვალებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გასაუბრების კომისია და შემფასებლები დანართი N4-ის შესაბამისად.

5. დევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატს;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ირაკლი ბრაჭული

დანართი N1

2022 - 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში
მასწავლებლის მომზადების საგანმანთლებლო პროგრამის
ვაკანსიები და მოდულები

ვაკანტური ადგილების რაოდენობა - 400
სახელმწიფო დაფინანსებით - 80
თვითდაფინასებით - 320

N	მოდული	საფეხური
1	ქართული ენა და ლიტერატურა	საბაზო და საშუალო
2	მათემატიკა	
3	ისტორია	
4	ფიზიკა	
5	ქიმია	
6	ბიოლოგია	
7	ინგლისური ენა	დაწყებითი, საბაზო და საშუალო

დანართი N2

პროგრამაზე მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები

1. აპლიკანტების რეგისტრაცია და გასაუბრება: 2022 **წლის 3 - 5 ოქტომბერი**;
2. გასაუბრების შედეგების გაცნობა აპლიკანტებისთვის, რანჟირების დოკუმენტის გამოცემა და ხელშეკრულების გაფორმება ჩასარიცხ პირებთან: 2022 წლის **6 ოქტომბერი**;
3. ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და გამოცემა - 2022 წლის **7 ოქტომბერი.**

დანართი N3

პროგრამაზე დარეგისტრირების მსურველ აპლიკანტთა მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. განცხადება რექტორის სახელზე (შემოთავაზებული ფორმით);
2. ბაკალავრის/მაგისტრის და/ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და დანართის ასლი;
3. შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – ასლი;
5. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობა (ვაუებმა) - ასლი;
6. ფოტოსურათი დისკზე;
7. აპლიკანტის სარეგისტრაციო ანკეტა (შემოთავაზებული ფორმით).

დანართი N4

პროგრამაზე მისაღები გასაუბრებისკომისია

1. ***ზურაბ ბერია*** - ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);

2. საგანი მათემატიკა: ***გურამ გოგიშვილი*** - აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის ხელმძღვანელი, მოწვეული სპეციალისტი (კომისიის წევრი);

3. საგანი ინგლისური ენა: ***ნონა პოპიაშვილი*** - ასოცირებული პროფესორი (კომისიის წევრი);

4. საგანი ქიმია: ***ნათია არაბული*** - მოწვეული სპეციალისტი (კომისიის წევრი);

5. საგანი ქართული ენა და ლიტერატურა: ***მაია ინასარიძე*** - მოწვეული სპეციალისტი (კომისიის წევრი);

6. საგანი ბიოლოგია: ***მარინა ჭელიძე*** - მოწვეული სპეციალისტი (კომისიის წევრი);

7. საგანი ისტორია: ***თამარ მალაზონია*** - მოწვეული სპეციალისტი (კომისიის წევრი);

8. ***ელენე ციციშვილი*** - კოორდინატორი, (კომისიის მდივანი).